



3848767346591

www.info.court.ge

საქმე №3/6061-16

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

29 დეკემბერი, 2017 წელი

ქ. თბილისი

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე თამარ ოქროპირიძე
სხდომის მდივანი სალომე ზაქაშვილი

მოსარჩელე - ზაზა წიკლაური

წარმომადგენლები - ირმა მახათაძე, ნინო გუჯარაიძე

მოპასუხე - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

წარმომადგენელი - ნინო სამადაშვილი

მოპასუხე - საქართველოს მთავრობა

წარმომადგენელი - ლალი თევდორაშვილი

მესამე პირი - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

წარმომადგენელი - ლევან ქევიციანი

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი

1.სასარჩელო მოთხოვნა

1.1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის №0-11 ბრძანება „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ელექტროგადაცემი ხაზის „დარიალი 110“ რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესახებ“;

1.2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის №091 ბრძანება „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 110 კილოვატიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადაცემი ხაზის „დარიალის“ რეკონსტრუქციაზე, მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“;

1.3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივლისის #ი-391 ბრძანება „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 110 კილოვატიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადაცემი ხაზის „დარიალის“ რეკონსტრუქციაზე, მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის №091 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ“;

1.4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №1555 განკარგულება „ზაზა წიკლაურის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“.

მოსარჩელის განმარტებით, არის ყაზბეგის რაიონის მკვიდრი, უშუალოდ ცხოვრობს იმ არეალში, სადაც მიმდინარეობს ელექტროგადაცემი ხაზი „დარიალი 110“-ის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ წარდგენილი ზემოაღნიშნული პროექტი გაათავისუფლა გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან (გზშ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გარემოების დადასტურების გარეშე, რაც ეწინააღმდეგება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსს. ამასთან, ხსენებული საკანონმდებლო აქტით დადგენილი პროცედურების სრულად გავლის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მინიმუმ 60 და მაქსიმუმ 75 დღე, ხოლო ამ პროცედურის ხანგრძლივობის მიზეზით გზშ-გან გათავისუფლების პირობებში სამინისტროსაგან გადაწყვეტილების მიღებისათვის სამინისტროს დასჭირდა 78 დღე. მოსარჩელის შეფასებით, სამინისტროს არ ჰქონდა განსხვავებული და კანონიდან გამონაკლისის დაშვების სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, საექსპერტო კომისიამ გასცა დადებითი ეკოლოგიური დასკვნა. მოსარჩელის მოსაზრებით, ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში დარღვეულია „გარემოსდაცვით საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, მტკიცებულებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველი, მე-3 და მე-6 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები, იმის გათვალისწინებით, რომ „დარიალი 110“-ის რეკონსტრუქციის პროექტის განხილვაში არ მოხდა საზოგადოების ჩართვა და საჯარო განხილვის მოწყობა. მოსარჩელის მითითებით, გასაჩივრებული ბრძანების მიღებით ასევე დარღვეულია

„ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატერების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის N28 ბრძანების მე-7 მუხლის და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-8 მუხლის მოთხოვნები, ვინაიდან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა მომზადდა იმ დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის N31 ბრძანების მე-6 მუხლის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების სპეციალურმა საბჭომ განიხილა საქმიანობის გზშ-გან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს.

მოსარჩელის განმარტებით, სადავო სარეკონსტრუქციო სამუშაოები პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს (ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება), რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, არაერთი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტით. გასაჩივრებული აქტები მიღებულია ყოველგვარი გადაუდებელი აუცილებლობის დასაბუთების გარეშე, უხეში პროცედურული დარღვევითა და კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფით.

2. მხარეთა პოზიცია

2.1. მოპასუხის პოზიცია

2.1.1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის წარმოდგენლებმა წარმოდგენილი შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია კანონმდებლობის სრული დაცვით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹-ე მუხლის თანახმად, არარსებობს მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

2.2. მესამე პირის პოზიცია

2.2.1. მესამე პირის - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო, მხარი დაუჭირა წარმოდგენილ შესაგებელს და განმარტა, რომ არარსებობს სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

3. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

3.1. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ 2015 წლის 04 დეკემბერს N5384/07 წერილით მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ელექტროგადამცემი ხაზი „დარიალი-110“-ის რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან (გზშ) გათავისუფლების მოთხოვნით.

განმცხადებელმა განმარტა, რომ სს „დარიალი ენერჯის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და საქართველოს მთავრობას შორის (წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ) 2015 წლის 31 ივლისს გაფორმებული „გადამცემი ხაზის განვითარების“ ხელშეკრულება ითვალისწინებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი-110“-ის (შემდგომში - ეგხ) რეკონსტრუქციას.

აღნიშნული ეგხ-ის რეკონსტრუქციის აუცილებლობა გამოწვეულია მოცემულ რეგიონში მშენებარე ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ გამომუშავებული ელექტროენერჯის საქართველოს ენერგოსისტემაში ჩართვით. ამასთან, „დარიალი ჰესის“ ექსპლუატაციაში შესვლა დაგეგმილია ზამთრის პერიოდში (2016 წლის თებერვალი), რის შემდეგაც მოხდება აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ჩართვა ერთიან ელექტროსისტემაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ზამთრის პერიოდში ქვეყნის ენერგეტიკული მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მხედველობაშია მისაღები მოცემული მიმართულებით ელექტროგადამცემი ხაზის სამომავლო განვითარების გეგმაც, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მეზობელ ენერგოსისტემასთან კავშირის ხარისხს. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ელექტროგადამცემი ხაზი „დარიალი 110“-ის რეკონსტრუქციის პროექტის შეუფერხებლად და დროულად განხორციელება იძენს სახელმწიფოებრივ დატვირთვას და უმნიშვნელოვანესია, როგორც რეგიონალური ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების თვალსაზრისით, ასევე მთლიანად საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და ენერგოსისტემის მდგრადობის გაუმჯობესებისათვის. ამასთან, დაბა სტეფანწმინდის მიმდებარედ განთავსებულ 110 კვ ძაბვის ქვესადგურამდე პროექტის მიხედვით, რეკონსტრუქციის ეგხ-ს დერეფანი პრაქტიკულად გაიმეორებს არსებული ხაზის დერეფანს და მხოლოდ ნაწილზე (საპროექტო 220 კვ ძაბვის ქვესადგურამდე) ათვისებული იქნება ახალი დერეფანი, ჯამში საპროექტო ეგხ-ის სიგრძე შეადგენს 13.585 კმ-ს. როგორც ცნობილია, ეგხ-ის რეკონსტრუქციისათვის საჭიროა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება და გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობა, რაც მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, დაკავშირებულია დროის ხანგრძლივ მონაკვეთთან. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, განმცხადებელმა მოითხოვა ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი-110“-ის რეკონსტრუქციის პროექტის გათავისუფლება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიდან, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2015 წლის 04 დეკემბრის N5384/07 წერილი (ტ.2, ს.ფ. 36-37);

3.2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს 2015 წლის 14 დეკემბრის სხდომაზე განხილული

იქნა ელექტროგადამცემი ხაზი „დარიალი 110“-ის რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების საკითხი.

საბჭომ, წარდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად დაადგინა, რომ აღნიშნული საპროექტო ტერიტორია მოიცავდა კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს. გარდა ამისა, საპროექტო ხაზი კვეთდა საქართველოს საპატრიარქოსათვის ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე (ყოფილი ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორია კვარტალი N28) არსებულ ელიას გორაზე ეკლესიისა და ილია წინასწარმეტყველის სახელობის ნიში-სამლოცველოს და მისასვლელი გზის მიმდებარედ სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის ტერიტორიას, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის 30.12.2007წ. N739 ბრძანებულებით. გარდა ამისა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ამ ტერიტორიაზე დაგეგმილი ჰქონდა ტურისტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის შექმნა, მათ შორის სათხილამურე ტრასის და ამ ტრასისათვის საჭირო საბაგრო გზის და ხელოვნური გათოვლიანების მოწყობა.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებთან დაკავშირებული საკითხების გამოკველვა/გარკვევის მიზნით, საბჭოს გადაწყვეტილებით სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ განაცხადის განხილვა გადაიდო.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს სხდომის 2015 წლის 14 დეკემბრის ოქმი N63 (ტ. 2, ს.ფ. 38-39);

3.3. ზემოაღნიშნული საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის 16 დეკემბრის N9136 წერილით სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ დაეგლა კერძო მესაკუთრეებთან საქმიანობის განხორციელების, ასევე საპატრიარქოსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის 16 დეკემბრის N9136 წერილი (ტ.2, ს.ფ. 40-41);

3.4. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ 2015 წლის 17 დეკემბერს N5619/07 წერილით მიმართა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ ეკლესიას (საქართველოს საპატრიარქო) და აცნობა, რომ მის საკუთრებაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110“-ის რეკონსტრუქციის საპროექტო ხაზი კვეთს საქართველოს საპატრიარქოსათვის ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე (ყოფილი ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალის

ტერიტორია კვარტალი N28) არსებულ ელიას გორაზე ეკლესიისა და ილია წინასწარმეტყველის სახელობის ნიშნი-სამლოცველოს და მისასვლელი გზის მიმდებარედ სახელმწიფო ტყის ფონდი მიჩენილი უბნის ტერიტორიას, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის N739 ბრძანებულებით. პროექტის განხორციელების სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, მოითხოვა სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის ნაწილზე ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის საკითხის შეთანხმება.

ხსენებული წერილის პასუხად, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მდივანმა 2015 წლის 28 დეკემბრის N1655 წერილით საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას აცნობა, რომ საქართველოს საპატრიარქო არ იყო წინააღმდეგი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში აღნიშნული პროექტის განხორციელებაზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2015 წლის 25 დეკემბრის N11/9206 წერილით სსე ელექტროსისტემების მმართველთა საბჭოს ეცნობა, რომ ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიის ნაწილზე სახელმწიფო მნიშვნელობის 110 კვ-იანი ელექტროგადამცემის ხაზის „დარიალის -110“-ის რეკონსტრუქციის საკითხთან დაკავშირებით წარდგენილი საპროექტო წინადადებისა და თანდართული მასალების შესაბამისად, სამინისტრო არ იყო წინააღმდეგი განხორციელებულიყო ელექტროგადამცემის ხაზის „დარიალის-110“-ის სარეკონსტრუქციო სამუშაოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან ირკვევა, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ, N74.01.11.525, 74.02.11.465, 74.01.11.525, 74.01.11.534, 74.01.14.097, 74.01.11.529, 74.01.11.528, 74.01.14.096, 74.01.11.533, 74.01.11.497, 74.01.11.523, 74.01.11.526, 74.01.11.310, 74.01.11.460, 74.01.11.491, 74.01.11.492, 74.01.11.094, 74.01.11.449, 74.01.11.452, 74.01.11.478, 74.01.11.518, 74.01.11.277, 74.01.11.351 74.01.11.431, 74.01.11.506 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები დატვირთულია სერვიტუტის უფლებით, მოსარგებლედ ფიქსირდება სს „დარიალი ენერჯი“.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის 2015 წლის 17 დეკემბერს N5619/07 წერილი (ტ.3, ს.ფ. 192-193);
- სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მდივნის 2015 წლის 28 დეკემბრის N1655 წერილი (ტ.3, ს.ფ. 194);
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2015 წლის 25 დეკემბრის N11/9206 წერილი (ტ.3, ს.ფ. 195);
- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან (ტ.3, ს.ფ. 196-243);

3.5. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების სპეციალურმა საბჭომ 2015 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ელექტროგადამცემი ხაზი „დარიალი 110“-ის რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე

ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესახებ.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს სხდომის 2015 წლის 28 დეკემბრის ოქმი N64 (ტ.2, ს.ფ. 42-43).

3.6. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის და გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს (2015 წლის 28 დეკემბრის ოქმი N64) რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 05 იანვრის №11 ბრძანებით სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ელექტროგადაცემი ხაზი „დარიალი - 110“ -ის რეკონსტრუქციის პროექტი გათავისუფლდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 05 იანვრის ს №11 ბრძანება (ტ.2, ს.ფ. 44).

3.7. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ელექტროგადაცემი ხაზი „დარიალი - 110“ -ის რეკონსტრუქციის პროექტის გზმ-გან გათავისუფლების შემდგომ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2016 წლის 05 თებერვალს მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 110 კილოვატიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარილის“ მშენებლობისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესის მეორე სტადიაზე მონაწილეობის მისაღებად. ასევე წარედგინა საპროექტო დოკუმენტაცია ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით.

საპროექტო დოკუმენტაციაში დაცულია 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „დარილის“ რეკონსტრუქციის პროექტის (220 კვ ძაბვის ეგხ-ს გაბარიტებში) საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც ასევე მოიცავს პროექტის ზოგად მიმოხილვას. აღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ დარიალ ჰესის სახელმწიფო ენერჯისისტემაში ჩართვის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ დაგეგმილი აქვს 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) რეკონსტრუქცია 220 კვ. ძაბვის ეგხ-ის პარამეტრებით. რეკონსტრუირებული ეგხ-ის დერეფანი პრაქტიკულად გაიმეორებს არსებული ხაზის დერეფანს დაბა სტეფანწმინდის მიმდებარედ განთავსებულ 110 კვ ძაბვის ქვესადგურამდე, ხოლო საპროექტო 220 კვ ძაბვის ქვესადგურამდე ათვისებული იქნება ახალი დერეფანი. ახალი ქვესადგურის აშენება დაგეგმილია სოფ. აჩხოტის მიმდებარედ მდ. თერგის მარჯვენა სანაპიროზე.

საპროექტო ეგხ-ის სიგრძე შეადგენს 13.685 კვ.-ს. პირველი ანმა განთავსებული იქნება დარიალი ჰესის ქვესადგურის ტერიტორიაზე მდ. თერგის მარჯვენა სანაპიროზე ზღვის დონიდან 1336 მ ნიშნულზე, ხოლო ბოლო (N42) ანმა საპროექტო ქვესადგურის

ტერიტორიაზე მდ. სნოს და მდ. თერგის შუამდინარეთში ზღვის დონიდან 2018 მ ნიშნულზე. საპროექტო ეგზ საწყის მონაკვეთზე გადაკვეთს მდინარე თერგს და შემდეგ მიუყვება მარცხენა სანაპიროს ფერდობს, დასავლეთიდან აუვლის სოფ. ცდოს, შემდეგ გადადის მდ. თერგის მარჯვენა სანაპიროზე, აღმოსავლეთის მხრიდან შემოუვლის დაბა სტეფანწმინდას და სანამ საპროექტო ქვესადგური აშენდება, მიუერთდება 110 კვ. ძაბვის ქვესადგურს. ახალი ქვესადგურის აშენების შემდეგ ჩართვა მოხდება მასში.

საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზი 2 წერტილში გადაკვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზას, ხოლო 2 წერტილში ადგილობრივი მნიშვნელობის გზას. 6 წერტილში გადაიკვეთება 10 კვ ძაბვის საჰაერო ხაზი, 4 წერტილში მაგისტრალური გაზსადენი და 7 წერტილში მდ. თერგი და მისი შენაკადები.

ახალი ეგზ-ს სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური უზრუნველყოფა მოხდება დარიალი ჰესის მოქმედი სამშენებლო ბანკიდან და შესაბამისად ახალი სამშენებლო ინფრასტრუქტურის შექმნა საჭიროებას არ წარმოადგენს.

საპროექტო ეგზ-ს ხიმიწვები განთავსდება არსებული ხიმიწვების ადგილას N6, N7, N15, N17, ხოლო დანარჩენი არსებულის მიმდებარედ. 110 კვ. ეგზ გამოიყენება სამშენებლო სამუშაოების დორებით ელექტრომომარაგებისათვის, ხოლო შემდგომში გამოიყენება მომხმარებლის მომარაგებისათვის 110 კვ ძაბვაზე, რომელიც გრძელდება ჰესის სათავე ნაგებობამდე, სადაც უერთდება არსებულ 110 კვ-იან ეგზ-ს. 220 კვ ეგზ გამოიყენება ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სისტემაში გადაცემისათვის. ეგზ-ს მშენებლობის პროცესში გამოყენებული იქნება დარიალი ჰესის არსებული სამშენებლო ბანკი და ახალი სამშენებლო ინფრასტრუქტურის მოწყობა საჭირო არ იქნება.

წარდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში ასევე განხილულია ეგზ-ს განლაგების რაიონის გარემოზე ზოგადი დახასიათება, ფიზიკური გარემოს დახასიათება (გეოლოგიური პირობები, ჰიდროლოგია, ფლორა, ფაუნა, კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები), დაგეგმილი საქმიანობით მოსალოდნელი რისკების ზოგადი შეფასება, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი რისკების შეფასება და ანალიზი, როგორც მშენებლობის ასევე ექსპლუატაციის პროცესში, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგი, გარემოსდაცვითი მონიტორინგი, ნარჩენების მართვის გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები (რისკების ანალიზი, საველე კვლევის შედეგები, ტექნოლოგიური ციკლის აღწერა).

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტებები.
- 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალის“ რეკონსტრუქციის პროექტი (220 კვ ძაბვის ეგზ-ს გაბარიტებში) საერთო განმარტებითი ბარათი (ტ.2, ს.ფ. 47-64);
- 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალის“ რეკონსტრუქციის პროექტი (220 კვ ძაბვის ეგზ-ს გაბარიტებში) რისკების ანალიზი (ტ.2, ს.ფ. 65-168);
- 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალის“ რეკონსტრუქციის პროექტი (220

კვ ძაბვის ეგზ-ს გაბარიტებში) საველე კვლევის შედეგები (ტ.2, ს.ფ. 169-256);
- 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალის“ რეკონსტრუქციის პროექტი (220 კვ ძაბვის ეგზ-ს გაბარიტებში) ტექნოლოგიური ციკლის აღწერა (ტ.2, ს.ფ. 257-277);

3.8. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარდგენილ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 110 კილოვატიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალის“ მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 09 თებერვლის №ი-72 ბრძანებით შეიქმნა საექსპერტო კომისია.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 09 თებერვლის №ი-72 ბრძანება (ტ.2, ს.ფ. 45-46).

3.9. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზის 2016 წლის 16 თებერვლის N7 დასკვნის თანახმად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, წარდგენილი სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 110 კილოვატიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალის“ რეკონსტრუქციის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის განხორციელება შესაძლებელად იქნა მიჩნეული, შემდეგი პირობებით: 1) საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო უზრუნველყო წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი რისკების შეფასებებისა და ანალიზის, გარემოს ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ნარჩენების მართვის გეგმის, დასკვნებისა და რეკონსტრუქციების შესრულება; 2) იქიდან გამომდინარე, რომ ელექტროგადამცემი ხაზის სამშენებლო დერეფანი ხვდება ყაზბეგის რაიონული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში, ხოლო „ტყითსარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242-ე დადგენილების 27¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა საჭიროებდა სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობას, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყო შეთანხმება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან; 3) საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო სამშენებლო სამუშაოების დაწყების, დასრულებისა და ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის; 4) საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის სხვა პირობე გადაცემის შემთხვევაში დასკვნის გადაცემა განხორციელებინა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზის 2016 წლის 16 თებერვლის N7 დასკვნა პროექტზე (ტ.2, ს.ფ. 278-283).

3.10. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის №91 ბრძანებით დამტკიცდა 2016 წლის 16 თებერვლის N7 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარდგენილი სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 110 კილოვატიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადაცემი ხაზის „დარიალის“ რეკონსტრუქციაზე, მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე; ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცა განუსაზღვრელი ვადით; სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ დაევალა უზრუნველყო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (16.02.2016წ. N7) გათვალისწინებული პირობების შესრულება.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის №91 ბრძანება (ტ.2, ს.ფ. 284-285);

3.11. საქართველოს მთავრობას ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ზაზა წიკლაურმა და მოითხოვა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 05 იანვრის №11 და 2016 წლის 19 თებერვლის №91 ბრძანებების ბათილად ცნობა იმ მიტვივით, რომ სამინისტრომ გასაჩივრებული აქტები მიიღო კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფით, უხეში პროცედურული დარღვევის შედეგად.

საკითხის განხილვაში დაინტერესებული პირის სახით ჩართული იქნა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემა“, რომლის განმარტების შესაბამისად, წარდგენილი საჩივრით არ დასტურდება თუ რა ზიანი ადგება ზაზა წიკლაურს „დარიალი 110“-ის რეკონსტრუქციის შედეგად, ვინაიდან არსებული ხაზის რეკონსტრუქციის პირობებში ელექტროგადაცემმა ხაზმა სოფელში მაცხოვრებელი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით სოფლიდან გადაიწია 300 მეტრით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N1555 განკარგულებით ზაზა წიკლაურის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. საჩივრის განმხილველმა ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ არარსებობდა გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის საფუძვლები.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ადმინისტრაციული საჩივარი (ტ.2, ს.ფ. 20-35);
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2016 წლის 05 ივლისის ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი (ტ.2, ს.ფ. 311-348);

- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N1555 განკარგულება (ტ.2, ს.ფ. 359-382).

3.12. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივლისის N ი-391 ბრძანებით შეტანილ იქნა შესწორება მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის N ი-91 ბრძანების სათაურში და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 110 კვ (220 კვ-იან გაბარიტებში) ელექტროგადაცემის ხაზის „დარიალის“ რეკონსტრუქციაზე, მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე“ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“;

წინამდებარე ბრძანებით ასევე შეტანილ იქნა შესწორება მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის N ი-91 ბრძანებით დამტკიცებულ 16.02.2016 წლის ეკოლოგიური ექსპერტიზის N7 დასკვნის პირველი თავის პირველ პუნქტში, მეორე თავის პირველ აბზაცსა და მეოთხე თავში, ჩანაწერი „კილოვატიანი“ შეიცვალა ჩანაწერით - „კვ“.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივლისის #ი-391 ბრძანება (ტ.3, ს.ფ. 117-118);

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

საქმეში არსებული მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმების და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი, „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის N28 ბრძანებით დამტკიცებული „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესი“, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივნისის N38 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს საქმიანობის წესი“.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

მითითებული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის №0-11, 2016 წლის 19 თებერვლის №0-91, 2016 წლის 28 ივლისის №0-391 ბრძანებები და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №1555 განკარგულება წარმოადგენენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს მათი შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებებთან.

6.2. სასამართლო აღნიშნავს, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასება (შემდგომში – გზშ) არის დაგეგმილი საქმიანობის შესწავლისა და გამოკვლევის პროცედურა, რომლის მიზანია გარემოს ცალკეული კომპონენტების, ადამიანის, ასევე ლანდშაფტის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. გზშ შეისწავლის, გამოავლენს და აღწერს საქმიანობის პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე, ნიადაგზე, ჰაერზე, წყალზე, კლიმატზე, ლანდშაფტზე, ეკოსისტემებსა და ისტორიულ ძეგლებზე ან ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორის ერთიანობაზე, მათ შორის, ამ ფაქტორების ზეგავლენას კულტურულ ფასეულობებსა (კულტურულ მემკვიდრეობასა) და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე.

ამავე საკანონმდებლო აქტის მე-6 მუხლი ადგენს საქმიანობის განმახორციელებელის ვალდებულებას გზშ-ის ანგარიშის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენამდე მოაწყოს მისი საჯარო განხილვა. სასამართლო აქვე

აღნიშნავს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა, ასევე გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების გაფორმება (მუხლი 7) ხორციელდება მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე.

ამავე კანონის მე-11 მუხლი ითვალისწინებს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას, შესაბამისი პირობების არსებობისას. მითითებული მუხლის თანახმად, საქმიანობა შეიძლება გათავისუფლდეს გზშ-ისგან, თუ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს საქმიანობის დაწყებას და ამის შესახებ გადაწყვეტილების დროულად მიღებას, ხოლო გზშ-ისგან გათავისუფლების თაობაზე საქმიანობის განმახორციელებლის განცხადებას განიხილავს და შესაბამის წინადადებებს შეიმუშავებს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭო, რომლის მიერ შემუშავებულ წინადადებებზე გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი დაინტერესებულ უწყებასთან შეთანხმებით.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 03 ივნისის N38 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს საქმიანობის წესი“ არეგულირებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს უფლებამოსილებებსა და საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს კომპეტენციას წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების თაობაზე განცხადების განიხილვა, შესაბამისი წინადადების შემუშავება და მინისტრისათვის წარდგენა, თუ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს საქმიანობის დაწყებას და ამის შესახებ გადაწყვეტილების დროულად მიღებას.

წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან საქმიანობის გათავისუფლების შესახებ განცხადებას იღებს სამინისტრო, რომელიც ამ უკანასკნელს გადასცემს საბჭოს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები: ა) საერთო განმარტებითი ბარათი (ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ); ბ) საველე კვლევის მასალები (დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული საველე კვლევის მასალები: ჰიდროლოგია, გეოლოგია, ჰიდროგეოლოგია და ა.შ.); გ) საპროექტო ნახაზები; დ) დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის აღწერა (მათ შორის დანადგარის საპასპორტო მონაცემები); ე) დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკების ანალიზი (მშენებლობის ან/და ექსპლუატაციის ეტაპზე); ვ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები; ზ) ამ პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტაციების ელექტრონული ვერსიები, ხოლო მე-6 მუხლის მე-8

პუნქტის თანახმად, საბჭოს მიერ შემუშავებული წინადადება (რეკომენდაცია) წარედგინება მინისტრს, რომელიც დაინტერესებულ უწყებასთან შეთანხმებით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რის თაობაზეც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საქმის მასალებით დგინდება, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ 2015 წლის 04 დეკემბერს N5384/07 წერილით მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ელექტროგადამცემი ხაზი „დარიალი-110“-ის რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან (გზმ) გათავისუფლების მოთხოვნით. განმცხადებელმა განმარტა, რომ ეგხ-ის რეკონსტრუქციის აუცილებლობა გამოწვეულია მოცემულ რეგიონში მშენებარე ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ გამომუშავებული ელ-ენერჯის ელექტროსისტემაში ჩართვით. ამასთან, „დარიალი ჰესის“ ექსპლუატაციაში შესვლა დაგეგმილია ზამთრის პერიოდში, რის შედეგადაც მოხდება აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელ. ენერჯის ჩართვა ერთიან სისტემაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ზამთრის პერიოდში ქვეყნის ენერგეტიკული მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

განცხადების განხილვის პროცესში საბჭომ დაადგინა, რომ საპროექტო ტერიტორია მოიცავდა კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს. გარდა ამისა, საპროექტო ხაზი კვეთდა საქართველოს საპატრიარქოსათვის ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე (ყოფილი ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორია კვარტალი N28) არსებულ ელიას გორაზე ეკლესიისა და ილია წინასწარმეტყველის სახელობის ნიში-სამლოცველოს და მისასვლელი გზის მიმდებარედ სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის ტერიტორიას. გარდა ამისა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ამ ტერიტორიაზე დაგეგმილი ჰქონდა ტურისტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის შექმნა, მათ შორის სათხილამურე ტრასის და ამ ტრასისათვის საჭირო საბაგირო გზის და ხელოვნური გათოვლიანების მოწყობა.

ხსენებულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარდგენილი იქნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მდივნის 2015 წლის 28 დეკემბრის N1655 წერილი, რომლის მიხედვით საპატრიარქო არ იყო წინააღმდეგი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში აღნიშნული პროექტის განხორციელებაზე; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2015 წლის 25 დეკემბრის N11/9206 წერილი, რომლითაც სამინისტრო ასევე არ იყო წინააღმდეგი განხორციელებულიყო ელექტროგადამცემის ხაზის „დარიალის-110“-ის სარეკონსტრუქციო სამუშაოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე დადასტურდა, რომ კერძო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები დატვირთული იყო სერვიტუტის უფლებით, მოსარგებლედ ფიქსირდება სს „დარიალი ენერჯი“.

საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებით სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ელექტროგადამცემი ხაზი „დარიალი 110“-ის რეკონსტრუქციის პროექტი გათავისუფლდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება რეკომენდაციის სახით წარედგინა მინისტრს. საბოლოო გადაწყვეტილება კი აისახა „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110“ რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 05 იანვრის №ი-11 ბრძანებაში.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე, წარმოშობდა „დარიალი 110“-ის პროექტის გზშ-გან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინაპირობებს, რომელიც გამოცემულია ზემოაღნიშნული პროცედურების დაცვის შედეგად. ამასთან, გზშ-გან გათავისუფლების საკითხი მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მხრიდან განხილულია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, კერძოდ 1 თვის ვადაში (განაცხადი საბჭოს წარედგინა 2015 წლის 04 დეკემბერს, ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია 2016 წლის 05 იანვარს).

6.3. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 03 ივნისის N38 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს საქმიანობის წესის“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლება არ გულისხმობს საქმიანობის ეკოლოგიური ექსპერტიზისაგან გათავისუფლებას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე უზრუნველყოფს მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში სამინისტროს ჩართვას. ასეთ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება ასევე უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებისა და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს.

საქმის მასალებით დგინდება, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ელექტროგადამცემი ხაზი „დარიალი - 110“ -ის რეკონსტრუქციის პროექტის გზშ-გან გათავისუფლების შემდგომ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2016 წლის 05 თებერვალს მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 110 კილოვატიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალის“ მშენებლობისათვის ნებართვის გაცემის პროცესის მეორე სტადიაზე მონაწილეობის მისაღებად,

კონკრეტულად კი, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად და ამ მიზნით, ამ წარადგინა საპროექტო დოკუმენტაცია.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის N28 ბრძანებით დამტკიცებულია „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესი“. ამავე წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება ხორციელდება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდეგ. მითითებული მუხლი ადგენს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტით დადგენილია, მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად შედგენილი გზშ-ის ანგარიშის წარდგენის ვალდებულება. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ნებართვის მისაღებად განმცხადებლის მხრიდან ვერ მოხდებოდა ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტის წარდგენა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ წარდგემილი პროექტი გათავისუფლებულია გზშ-გან.

„ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა გაცემა იმ შემთხვევაში, თუ ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი დოკუმენტაცია: ა) შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებსა და სტანდარტებს; ბ) ასაბუთებს, რომ მასში მოყვანილი საქმიანობის განხორციელება განსაზღვრულ ადგილსა და გარემოებაში არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ხარისხობრივ და თვისობრივ ცვლილებებს; გ) ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შემცირების ან თავიდან აცილების ღონისძიებებს (მათ შორის, ავარიული სიტუაციების შესაძლო შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებს). ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას: ა) შეესაბამება თუ არა საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს; ბ) რა სახის ნაკლოვანებებს შეიცავს ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი დოკუმენტაცია; გ) რამდენად მნიშვნელოვანია ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის ნაკლოვანებები გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის; დ) შესაძლებელია თუ არა ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის ნაკლოვანებების გამოსწორება და თუ შესაძლებელია, რა გზით; ე) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობებს (საჭიროების შემთხვევაში), ხოლო მე-4 პუნქტის შესაბამისად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არის შესაბამისად გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის შემადგენელი ნაწილი, ხოლო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობა – სანებართვო პირობა, რომლის შესრულება სავალდებულოა გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის

ნებართვის მფლობელისათვის.

დადგენილია, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზის მისაღებად სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ წარდგენილ საპროექტო დოკუმენტაცია მოიცავდა ეგზ-ს განლაგების რაიონის გარემოზე ზოგად დახასიათებას, ფიზიკური გარემოს დახასიათებას (გეოლოგიური პირობები, ჰიდროლოგია, ფლორა, ფაუნა, კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები), დაგეგმილი საქმიანობით მოსალოდნელი რისკების ზოგადი შეფასებას, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი რისკების შეფასებას და ანალიზს, როგორც მშენებლობის ასევე ექსპლუატაციის პროცესში, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებებს და მონიტორინგს, გარემოსდაცვითი მონიტორინგს, ნარჩენების მართვის გეგმას, დასკვნებს და რეკომენდაციებს (რისკების ანალიზი, საველე კვლევის შედეგები, ტექნოლოგიური ციკლის აღწერა).

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე, საექსპერტო კომისიამ 2016 წლის 16 თებერვალს გასცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, წარდგენილი სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 110 კილოვატიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალის“ რეკონსტრუქციის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის განხორციელება შესაძლებელად იქნა მიჩნეული, შემდეგი პირობებით: 1) საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო უზრუნველყო წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი რისკების შეფასებებისა და ანალიზის, გარემოს ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ნარჩენების მართვის გეგმის, დასკვნებისა და რეკონსტრუქციების შესრულება; 2) იქიდან გამომდინარე, რომ ელექტროგადამცემი ხაზის სამშენებლო დერეფანი ხვდება ყაზბეგის რაიონული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში, ხოლო „ტყითსარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242-ე დადგენილების 27¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თაახმად, ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობა საჭიროებდა სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობას, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყო შეთანხმება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან; 3) საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო სამშენებლო სამუშაოების დაწყების, დასრულებისა და ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის; 4) საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში დასკვნის გადაცემა განეხორციელებინა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის N^o-91 ბრძანებით ზემოხსენებული დასკვნა განუსაზღვრელი ვადით

დამტკიცდა.

დადგენილია ასევე, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივლისის #ი-391 ბრძანებით შეტანილ იქნა შესწორება მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის №ი-91 ბრძანების სათაურში და შეტანილ იქნა შესწორება მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის №ი-91 ბრძანებით დამტკიცებულ 16.02.2016 წლის ეკოლოგიური ექსპერტიზის N7 დასკვნის პირველი თავის პირველ პუნქტში, მეორე თავის პირველ აბზაცსა და მეოთხე თავში, ჩანაწერი „კილოვატიანი“ შეიცვალა ჩანაწერით - „კვ“.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მხრიდან გასაჩივრებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა მოტივირებულია იმ გარემოებით, რომ მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსთვის მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება არ აკმაყოფილებდა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებს, მე-6, მე-7 და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს. ასევე, აპელირებს „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველ, მე-3 და მე-6 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევებზე.

მოსარჩელის საყურადღებოდ სასამართლო განმარტავს, რომ მართალია, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი აღგენს, რომ მშენებლობის ნებართვის გამცემის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსთვის მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს, მაგრამ მე-11 მუხლი, როგორც უკვე აღინიშნა ასევე აღგენს ამავე კანონით დადგენილი წესიდან გამონაკლისს. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმიანობის განმახორციელებელი გათავისუფლებულია გზმ-სგან, მას არ შეიძლება მოეთხოვოს ყველა იმ მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვა, რომელიც გაწერილია ზოგადი პროცედურის მიხედვით.

რაც შეეხება „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველ, მე-3 და მე-6 მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს, მითითებული კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება, იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ- - მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების

მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას. კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოფს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში იზიარებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციას მასზედ, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს სწორედ, რომ კონვენციის მითითებული მუხლების რეალიზაციის საშუალებას საქართველოს სახელმწიფოს მოქმედ კანონმდებლობაში. მითითებული კანონი საზოგადოებასა და დაინტერესებულ პირებს ფართოდ აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ იმ საქმიანობის განხორციელებაში, რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო მხოლოდ განსაკუთრებულ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში უშვებს ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, ისიც გამონაკლისის სახით, რაც ასევე შესაბამისობაშია მითითებული კონვენციის მე-6 მუხლთან, ვინაიდან: კონვენციის მე-6 მუხლი ადგენს საქმიანობათა გარკვეულ სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის წესს. მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის („ა“) თანახმად, თითოეული მხარე I დანართში ჩამოთვლილი შემოთავაზებული საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს. I დანართის მე-17 პუნქტის შესაბამისად კი, მე-6 მუხლის დებულებები გამოიყენება მიწისზედა 220-კვ ან მეტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების აგებაზე, როდესაც ხაზის სიგრძე აღემატება 15 კმ-ს. მითითებული კონვენციის მე-6 მუხლის დებულებები აპრიორი განსახილველ შემთხვევაზე არ ვრცელდება: თუმცა ამავე კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი (ბ) ასევე განსაზღვრავს, ისეთ შემთხვევასაც, როცა საქმიანობა ჩამოთვლილი არ არის I დანართში და ადგენს საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში აგრეთვე გამოიყენებს წინამდებარე თავის დებულებებს იმ შემთავაზებულ საქმიანობებში, რომელიც არ არის ჩამოთვლილი I დანართში, თუმცა შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე. ამისთვის მხარეებმა უნდა განსაზღვრონ, რამდენად ეხება ასეთი სახის შემოთავაზებული საქმიანობა წინამდებარე დებულებებს. შესაბამისად, იმისათვის, რომ მოსარჩელმ მითითებული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევაზე მიუთითოს, მან უნდა დაასაბუთოს ის თუ რა მნიშვნელოვანი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს „დარიალი 110“ ეგზ-ის რეკონსტრუქციამ გარემოზე, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ დგინდება.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გზმ-სგან გათავისუფლების თაობაზე და მის საფუძველზე გამოცემული მინისტრის ბრძანება სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ასევე, კანონით დადგენილ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაშია ეკოლოგიური ექსპერტიზის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მის საფუძველზე გამოცემული მინისტრის ბრძანება.

6.5. მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №1555 განკარგულების ბათილად ცნობა, რომლითაც უარი ეთქვა მხარეს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოთხოვნის ამ ნაწილში სარჩელი ასევე უსაფუძვლოა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო. ამავე კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ; ბ) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე; გ) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანო. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას.

სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის განმხილველმა ორგანომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. იმ პირობებში, როდესაც კანონიერად არის მიჩნეული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის №ი-11, 2016 წლის 19 თებერვლის №ი-91, 2016 წლის 28 ივლისის №ი-391 ბრძანებები შესაბამისად, მათ საფუძველზე გამოცემული საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №1555 განკარგულება ასევე კანონიერია და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

6.5. სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, კანონმდებელი მითითებული მუხლის მეორე

ნაწილში აზუსტებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ზაზა წიკლაურის სარჩელი უსაფუძვლოა, რადგან ადგილი არ აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას. სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებულ სამართლებრივ ნორმებთან. სადავო გადაწყვეტილებები მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე, აგრეთვე დაცულია ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესი, რის გამოც სარჩელს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

7. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ხოლო ამავე კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო ხარჯებს მოიცავს სახელწიფო ბაჟი. ამდენად, მოცემულ საქმეზე მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 100 (ასი) ლარი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 22-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 55-ე, 243-ე, 244-ე, 248-ე, 249-ე, 364-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ზაზა წიკლაურის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
2. მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად;
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. 7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) 14 დღის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან.

მოსამართლე

თამარ ოქროპირიძე